

გაკვეთილის თემა: მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“

ქობულეთის რაიონის ჭახათის საჯარო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის

მასწავლებელი ხათუნა თეთრაძე

კლასი: IX

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 2 დაწვეტილებული გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ლიტერატურული ნაწარმოებიდან და მედიარესურსიდან მიღებული ინფორმაციის გაგების, გააზრების, დახარისხების უნარი; საინფორმაციო წყაროს ეფექტურად გამოყენების, კრიტიკული აზროვნების უნარები; გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება არგუმენტირებული მსჯელობით.

მედიაწიგნიერების მიზნები:

მედიაწიგნიერების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაცია. სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზი და შეფასება.

ესგ–სთან შესაბამისობა:

მიმართულება–ზეპირმეტყველება:

ქართ. IX.2. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიის მონაწილეთა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

მიმართულება–კითხვა:

ქართ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურა ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება–გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

მიმართულება-წერა:

ქართ. IX. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.

გამოყენებული აქტივობები:

- .გონებრივი იერიში;
- . ჯგუფური მუშაობა;
- . დისკუსია;
- . სქემები;
- . ესე;

სასწავლო რესურსები:

სახელმძღვანელო, ფლიფჩარტი, ლექტოპი, პროექტორი, პრეზენტაცია, ვიდეოფილმი, ინტერნეტი, დამხმარე ლიტერატურა.

ლექსიკონი:

ემიგრაცია, მიგრაცია, ემიგრანტი, რევოლუცია.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა- 1

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მოტივაციის სავარჯიშოთი და შესაბამისი განწყობის შესაქმნელად სვამს მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიის შესახებ მარტივ კითხვებს:

- ა) სად და როდის დაიბადა მიხეილ ჯავახიშვილი?
- ბ) სად მიიღო განათლება?
- გ) გაიხსენეთ ჯავახიშვილის ოჯახური ტრადედია.
- დ) რატომ დაავიწყდა ქართული ენა?
- ე) რას საქმიანობდა 1906–1910 წლებში?
- ვ) კიდევ რომელი ნაწარმოები აქვთ წაკითხული ჯავახიშვილის შემოქმედებიდან?
- თ) რის მსხვერპლი აღმოჩნდა მიხეილ ჯავახიშვილი?

აქტივობა -2

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ამონარიდებს და აძლევს დავალებას ამოიცნონ მათ ტექსტის მთავარი სათქმელი. მოსწავლეები ტექსტებზე მუშაობენ, 4–5 წუთის განმავლობაში აანალიზებენ მოთხრობიდან ამონარიდებს და ამის შემდეგ იწყებენ პერსონაჟის შეფასებას.

ტექსტი 1

„შორიდანვე გავუღიმე და სალამი მივეცი—ულრმესი და თავაზიანი.

აპენტილწვერ—ულვაშიდან, თითქო მოთოვლი ლფანჯრებიდან, ოქროსკბილემმა გამოიხედეს.

დაშინებულმა ბებერმა პასუხი არ მომცა.

სამაგიეროდ შეჭირხლული სარკმელი უფრო განივრად გააღო და ოქროს ბზინვა მზის სხივებივით გამომაცოლა. რომ დავშორდი, შევდექი და მოვიხედე, მოხუცის სხივთა კონა ისევ მე მქონდა მოზგენილი.ეხლა იმ სარკმლიდან და ორი მოხურული სანათურიდან, ფანჯრისზემოდან რომ იჭყიტებოდნენ, თბილი ტალღებივით მელამუნებოდნენ უცნობის ნდობა, სიხარული, ალერსი და ბედნიერება – ბედნიერება იმის გამო, რომ... არა, ჯერ არ ვიცი რის გამო, რატომ და რისთვის, კუთხეს მივეფარე და გავიფიქრე, კვიატი რამ აედევნა,ბაღლობას დაუბრუნდა. ალბათ აგრე იქნება... – და გადავწყვიტე: – რა თქმა უნდა, ასე იქნება: ბაღლობა თუ დაუბრუნდა“

მოძებნეთ ტექსტის მთავარი სათქმელი

.....

.....

.....

ტექსტი 2

–ადარაფერი არ გახსოვთ? სულ ადარაფერი?

–რიენ, რიენ –არაფერი, არარაფერი.

–გაიხსენეთ...მოიგონეთ. ვუჯნრრევ მკლავს და გახევებულ ხსოვნას. მაგრამ ვერარაფერი ვერ გავიხსენე. კაშორ–კაიშაური თვითონაც გახევდა. კუნძივით იდო და ჯაფარასავით აჩხაკუნებდა.

–რიენ...აბსოლიუმან რიენ...

–არც სოფელი,არც დედა ,არც სხვა ვინმე?

ისევ...რიენ...ამსოლიუმან რიენ...და მეტი არაფერი.

–ალბათ საქართველოში დაიბადებოდით.– ვაცივდები ცოცხალ მორს და კითხვების მუჯლუგუნით ვლამობ მავიწყობის განგრევას.

–ონდი – ამბობენ –და წამოდგა: – ორევუარ, მონშერ, თუ გამახდენდა რამე, გიამბობთ.

–მართლა? პირობას მაძლევთ?

–უეჭველად, უეჭველად. მონშერ. ნახვამდის . მშვიდობით.

და ისე წაფარფატდა, თითქოს ფეხები მიბმული ჰქონოდა და შიშობდა არ გამცვივდესო.

კაშორ– კაიშაურს ნაწყენი თვალი და აშლილი ფიქრები გავაყოლე. მეორე და მესამეჯერ რომ შევხვდი, საყვარელი შვილივით მიმზერდა. დღეს კი, როცა უცხოეთში, ორმოცი თუ სამოცი წლის შემდეგ, სისხლის ძმას შეხვდა და თავისი ქართველობა გაამჟღავნა, დღეს უცნაურად გარდაიქმნა, გაიყინა,თითქო ეწყინა კიდევაც. ვფიქრობდი და ვერ გამეგო. ან ვინ იცის? ვინ გაიგებს? ვინ გახსნის გაბალღებული მოხუცის საიდუმლოებას?

მომეზნეთ ტექსტის მთავრი სათქმელი

.....

.....

.....

ტექსტი 3

კაშორი ნაკითხია: უყვარს ლამარტინი,ჰიუგო–დანარჩენი დაავიწყდა. ის კი ახსოვს,რომ ბევრს კითხულობდა, ძალიან ბევრს, მაგრამ–

– სულ დამავიწყდა, ბევრი რამ დამავიწყდა, რა ვქნა, ასე სცოდნია სიბერეს, აბა, კიდევ წამიკითხე რამე.

წიგნი გადავშალე, წავაწყდი და წავიკითხე:

ვა <სოფელო, რაშიგან ხარ,

რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

ყოვლიმც შენი მონდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა,

სადაურსა სად წაიყვან,

სად აღუფხვრი არსით ძირსა,

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს

კაცსა, შენგან განაწირსა!

და სიტყვა—სიტყვით გადავუთარგმნე.

მოხვდა, შეკრთა, მომიბრუნდა. ჯერ პირი ააცმაცუნა, შემდეგ წვერებში ჩაიკვნესა:

—ჰელა, ილარეზონ — ვაი რომ მართალია! დიდი სიმართლე უთქვამს, დიდი... სადაურსა სად წაიყვანს... —და ათრთოლებული ხმით დაუმატა:— მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, ღმერთი!

მომეზნეთ ტექსტის მთავრი სათქმელი

.....

.....

.....

ტექსტი 4

—ნონ, ნონ!— ისე წამოიწია, თითო მაშინვე აპირებდა ქუდია ალებას და საქართველოში წამოსვლას, — არა, არა! უნდა წავიდე... უეჭველად უნდა წავიდე. ედემუა, მიშველე მონშერ, მასწავლე და მიშველე.

წამოიწია მაგრამ ფეხი ვერ გაისწორა და ტანიც ვერღარ აიტანა.

მერე მუდარით მომანათა გაცვეთილი თვალები და წყალწარებულივით შემეხვეწა:

—აგრე როგორ გაგიძნელდა შვილო, გზის ჩვენება და დარიგება? მიშველე—მეთქი, მითხარი...

—დამშვიდდი მესიე, ახლავე გასწავლით ყოველივეს.

და ვასწალე: დავჯექი და მტელი თაბახი დავწერე: კაიშაურის ვინაობა, თავგადასავალი და თხოვნა, რომ სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მისცენ მას, საწყალ მოხუცს, გზადაკარგულს, უპატრონოს.

—დიაღ, დიაღ, — მიკარნახებს კაიშაური ხელებში ცაფლული პირით. — ასე დასწერე: საბრალო მოხუცს, რომელსაც ამ ქვეყნად გზა დაეკარგა, თავის მიწას მოსწყდა... უპატრონოდ დაბერდა. დიაღ, დიაღ, უპატრონოდ დალია თავისი დღენი—თქო. ესეც ჩაწერე: მე კიდევ შემიძლიან... ცოტაოდენი მაინც გავაკეთო. ვინმე მაინც გავამხნევო, ნუგეში მივცე, წავახალისო, ესეც ბევრია, ძალიან ბევრია, ვიცი რაფასიც აქვს ზოგჯერ თუნდაც ერთ სიტყვას. ერთადერთს. დასწერე, მონშერამი?

— დავწერე, შერპაპა.

–ახლა ასე დაასრულე: მე ღარიბ–ღატაკი კაცი ვარ.ეს სახლ–კარი ჩემს რძალს ეკუთვნის.რაც რამ მქონდა–სიცოცხლე ,ძალღონე, ახალგაზრდობა, ერთი მუჭა ნაშრომი–ყოველივე მას შევწირე: ინტერნაციონალს,სოციალიზმს,პროლეტარიატს, ბრძოლას, დასწერე შვილო?

–დავწერე, შერპაპა.

–განაგრძე, შვილო: ნადირი სანადიროდ გავა,ფრინველი–საკვებისთვის, ადამიანი–საბრძოლველად და სამუშაოდ, მერე ყველანი დაბრუნდებიან: მხევი ისევ ბუნაგში შევა,ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი – თავის ქოხს. მე კი წამოვედი და ველარ დავბრუნდი. ხომ დასწერე, შვილო?

–დავწერე, მამა.

–მიუმატე: ვიბრძოლე, ვიმუშავე, აღარაფერი შემრჩა, გარდა ოთხმოცდარვა წლის ტვირთისა. მძიმეა, მეტად მძიმე ტვირთია. დღეს თუ ხვალ უნდა გამსრისოს. მაშ, ასე: ველარ დავბრუნდი–თქო. იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ–მამის სახელიც კი დამავიწყდა... საკუთარი გვარიც... ისიც არარ ვიცი,სად არის ჩემი ბუდე თუ ბუნაგი... ან რა ჰქვია იმ კუთხეს. სწერ, შვილო, რასაც გეუბნები?

– წერ, მამილო...

–ისიც არ ვიცი, რა ჰქვია ჩემს ნაქოხარს. რომ დავბრუნდე, ვერც კი ვიპოვნი, მაინც რაც არ უნდა მოხდეს, მსურსდავბრუნდე და ჩემი უკანასკნელი მუდარაც, ერთადერთი ჯილდო და ანდერძიც ეს არის: დამაბრინეთ...წამიყვანეთ...დასწერე ,შვილო?

–დავწერე, ჩავილაპარაკე ჩემთვის ხანგრძლივი ღუმილის შემდეგ–დავწერე, მამილო–და მოვბრუნდი:–გავათავე, შერპაპა.

მომეზნეთ ტექსტის მთავრი სათქმელი

.....

.....

.....

ტექსტი 5

მაინც დავაბრუნე, ანდერძი შევუსრულე.

პარიზში კარგი კრემატორიუმია.

დიდი კაცის ფერფლი ჯიბის კოლოფში ეტევა.

ანანური ღრმა ხევშია ჩაწოლილი...

მწვანე მთები... სწრაფი არაგვი...ძველი საყდარი და შერუჯული გალავანი.

ავტო შევაჩერე.

ზევით ავედი.

ანდრო გავიხსენე და ის ნავლი ხევის ნიავეს გავატანე.

მოძებნეთ ტექსტის მთავარი სათქმელი

.....

.....

.....

აქტივობა -3

მასწავლებელს დაფაზე გაკრული აქვს ფლიფჩარტი, სადაც მოცემულია ცხრილი, რომელზეც მოცემულია კითხვები. პასუხები კი მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ტექსტებში, გადაიტანონ წებოვან ფურცლებზე, გააკეთონ პრეზენტაციები და ჩააწებონ პასუხების შესაბამის გრაფაში.

კითხვები	სავარაუდო პასუხები
ა) რით მიიქცია მოხუცმა დასასვენებლად ჩასული სტუდენტის ყურადღება?	ა) მოხუცმა სტუდენტის ყურადღება დაბნეული ქცევის გამო მიიპყრო
ბ) რატომ ეშინია ანდრე კაშორს რუსეთის მეფის?	ბ) იმიტომ, რომ ყოფილი რევოლუციონერია.

გ) რატომ ენდობა მოხუცი სტუდენტს? სტუდენტის განსაკუთრებული თვისებები ჩანს თუ არა მოხუცთან ურთიერთობისას?	გ) მოხუცზე სტუდენტის ქართველობამ იმოქმედა. სტუდენტი კი მას განსაკუთრებული სითბოთი და ყურადღებით ექცევა.
დ) რა ურთიერთობა დამყარდა მოხუცსა და სტუდენტს შორის, როგორ მიმართავენ ისინი ერთმანეთს?	დ) მოხუცსა და სტუდენტს შორის მეგობრული, თბილი, მამა-შვილური ურთიერთობა დამყარდა. ისინი ისე მიმართავენ ერთმანეთს, როგორც ნამდვილი ოჯახის წევრები.
ე) რის თქმა სურს ავტორს ამით?	ე) ამით ავტორი გამოკვეთს ქართველების განსაკუთრებულ თვისებას, შეიყვარონ და დაიცვან ერთმანეთი შორეულ ქვეყანაშიც კი.
რატომ მოაზნია სტუდენტმა მოხუცის ფერფლი არაგვის ხეობაში?	ვ) ამით თითქოს მოხუცი მამაპაპეულ მიწაზე დააბრუნა.
ზ) საქართველოს წინაშე ვალმოხდილი მიზარდა თუ არა მოხუცი უფალს?	ზ) კი, რადგანაც მაინც დაუბრუნდა სამშობლოს.
თ) სტუდენტმა როგორ შეასრულა თავისი ვალი სამშობლოსა და მოხუცის წინაშე	თ) სტუდენტმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოსა და მოხუცის წინაშე.

აქტივობა 4

კლასი იყოფა 2 ჯგუფად.

მასწავლებელმა დაავალა ერთ ჯგუფს დაეხასიათებინა სტუდენტი, გამოკვეთონ მისი პიროვნული ღირებულებები. მისი ცხოვრების წესი და სოციალური მდგომარეობა.

მეორე ჯგუფს კი დაავალა დაეხასიათებინა მოხუცი ანდრე კაშორი, გამოკვეთონ მისი პიროვნული ღირებულებები, მისი ტრაგიკული ბედი და სოციალური სტატუსი.

ამის პარალელურად დაევალებათ შეავსონ T დიაგრამა და ახასიათებენ სტუდენტს და ანდრე კაშორს.

T დიაგრამა

სტუდენტი	ანდრე კაშორი
ახალგაზრდა	მოხუცი
ენერგიული	დაუძლურებული
ემპათიური	შეშინებული
მზრუნველი	მარტოსული
ერთგული	იმედიანი
თავისუფალი	ტრაგიკული

აქტივობა 4

მასწავლებელი აძლევს წასაკითხად 2 წერილს ემიგრანტებზე და ავალებს გაავლონ პარალელი ანდრე კაშორთან.

1. ნიკოლოზ ჩხოტუა

ნიკოლოზ ჩხოტუამ თითქმის ყველა ოცნება აისრულა: გახდა დიპლომატი, იყო მდიდარი, ცნობილი, გავლენიანი, ჰყავდა მოსიყვარულე ოჯახი, მოიარა მთელი მსოფლიო, მაგრამ ვერ აისრულა მთავარი ოცნება—მშობლიური ქვეყნის ნახვა. 50–იან წლებში, როცა სამშობლოსთან მიმოწერა შესაძლებელი გახდა, ურთიერთობა აღადგინა ნათესავებთან, 60–იან წლებში სატელეფონო კავშირიც დაამყარა, 80–იან წლებში კი, როცა ჩამოსვლა შესაძლებელი გახდა—ჯანმრთელობამ უღალატა და საქართველოში ჩამოსვლა ვეღარ შეძლო.

ნიკოლოზ ჩხოტუას შვილები საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ქართული არ იციან, მაგრამ სულით და გულით ქართველები არიან და შეძლებისდაგვარად ილწვიან საქართველოსთვის. ექვსივეს ქართული სახელი ჰქვია: ზურაბი, თამარი, ნინო, შალვა, მარინე, დიმიტრი. მამამ, სიკვდილის წინ, ერთადერთი სურვილის შესრულება სთხოვა—სხეული თუ არა, გული მაინც მიაბარეთ მშობლიურ მიწასო.



ვინაიდან საბჭოთა საქართველოში ემიგრანტის თუნდაც სხეულის ნაწილის, ფერფლის ჩამოტანა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მამის ანდერძის შესრულება შვილებმა მხოლოდ მამის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ შეძლეს. 1987 წელს, ნ. ჩხოტუას გული დაწვეს, ერთი წლის შემდეგ კი, 1988 წლის მაისში, თბილისში ტურისტად ჩამოსულმა უფროსმა რძალმა, მარიეტამ და ოჯახის მეგობარმა—ოლგა ფონდენმა, ურნა დაფერფლილი გულით, ჩუმად დაკრძალეს დედისა და დის გვერდით ერთ-ერთ საფლავში, ვერაზე, წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიასთან. პანაშვიდი, თბილიელ ნათესავებთან ერთად, სიონის ტაძარში გადაუხადეს.

<http://www.ambioni.ge/nikoloz-cxotua>

2.ოთარ ზალდასტანიშვილი

ოთარ ზალდასტანიშვილი კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტია, რომელიც იძულებული გახდა უცხო ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყო. ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორი და ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერი, უამრავი საინტერესო და გრანდიოზული პროექტის ავტორი იყო, რომელთა შორის განსაკუთრებულია „პალმა ჯუმეირას“ ფანტასტიკური კომპლექსი.

ოთარ ზალდასტანიშვილი 2005 წელს გარდაიცვალა.

დასაფლავებულია მათობურნის სასაფლაოზე.



<http://www.ambioni.ge/otar-zaldastanisvili-emigrantebi>

წერილების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს ემიგრაციის თემასთან დაკავშირებით. ცდილობენ ჩასწვდნენ და გაითავისონ სამშობლოდაკარგული ქართველების ტკივილი და განცდები.

აქტივობა -5

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს გაიხსენონ ქართული მხატვრული ფილმი „ფესვები“ <https://www.youtube.com/watch?v=JBqPDkwVa9o> და შეადარონ ერთმანეთს ფილმი და მოთხრობა და იმსჯელონ:

რამდენად თვალსაჩინო და ტრაგიკულია ემიგრანტის ხვედრი ფილმში და რამდენად მტკივნეულადაა გაშუქებული ანალოგიური სიტუაცია მოთხრობაში „მიწის ყივილი“?

აქტივობა 6

საშინაო დავალება - მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაწერონ ესე შემდეგი სათაურით: „ემიგრაცია და მიწის ყივილი“

გამოყენებული რესურსები:

<http://www.ambioni.ge/nikoloz-cxotua>

<http://www.ambioni.ge/otar-zaldastanisvili-emigrantebi>

<https://www.youtube.com/watch?v=JBqPDkwVa9o>